ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01240732288**
თარიღი: **13/03/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 13 მარტის №01240736-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.07.002.097; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა **(არსებული:** 65 ძირი და **საპროექტოდ დასარგავი:** 15 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 10 ძირი გრძელფოთოლა იფანი, 26 ძირი იტალიური ფიჭვი, 12 ძირი წითელი დეკორატიული ტყემალი, 25 ძირი უნგრული ცაცხვი, **ჯამში - 153 ერთეული),** სრულად ითვისებს შემოთავაზებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(სსზ-2-0.3 = 3 445 მ^2).**

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე, განმცხადებელმა ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების 38-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა წარმოადგინოს მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფერადი ფოტო-მასალა, სადაც თვალსაჩინოდ იქნება ნაჩვენები საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი თითოეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი მდგომარეობა (როგორც ღერო, ასევე, ვარჯი) და საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მინიჭებული ნუმერაცია.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

0178, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქუჩა N7ბ, ოფისი N7; ტელ: 032 2 06 03 03
მობ: (+995) 591230602 ; (+995) 555606226, Email: Nurserygeorgia@gmail.com ;
LLcsilvagroup@gmail.com ; Sabakobakhidze94@gmail.com 0178, Georgia, Tbilisi, Ts. Dadiani str. 7b, office N7

კ-3 -ის კოეფიციენტის ათვისების გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი

DENDROLOGICAL PROJECT OF COEFFICIENT K3 ASSIMILATION

*პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.3
*Considering the project, landscaping coefficient of K-03=0.3

თარიღი: 25.07.2023 წ.

მისამართი: ქალაქი თბილისი ქუჩა აგლაძის № 1

საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.097

ნაკვეთის მესაკუთრე: შპს ვახუშტი ბაგრატიონის 1. ID 405408107

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ნაკვეთის მთლიანი ფართობი: 11 421.0 მ²

ნაკვეთის კ-3-ის ფართობი: კ3=0.3=3445.0 მ²

ტერიტორიაზე განთავსებულია მწვანე ნარგავების რაოდენობა - 87 ძირი
იხ. შ.პ.ს "სილვა გრუპი"-ის ექსპერტის დავით დიღმელაშვილის საექსპერტო დასკვნა - მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება. (ბრძ. N 5-55 14. 09. 2017წ)

ნარგავების რაოდენობა რომელიც ხელს უშლის პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებს: 0 ძირი

კ-3 ის პროექტით მწვანე ნარგავების დარგვა - 88 ძირი
კ-3 ის პროექტით გათვალისწინებულიამწვანე ნარგავების მოჭრა - 0 ძირი
კ-3 ის პროექტით გათვალისწინებულიამწვანე ნარგავების გადარგვა - 0 ძირი
ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები სამშენებლო სამუშოების წარმოებას არ უშლის ხელს.

გასამწვანებლად შემოთავაზებული 88 მცენარე შერჩეულია ქალაქ თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

დაგეგმილი დასარგავი ნერგების სახეობები, რაოდენობა, აღწერილობა და პარამეტრები - 88 ძირი მწვანე ნარგავი

სახეობები და რაოდენობა:

- მინდვრის ნეკერჩხალი (ACER CAMPESTRE) – 15 ძირი
- გრძელფოთოლა იფანი (FRAXINUS ANGUSTIFOLIA) - 10 ძირი
- იტალიური ფიჭვი (PINUS PINEA) - 26 ძირი
- წითელი დეკორატიული ტყემალი (PRUNUS PISARDI NIGRA) - 12 ძირი
- უნგრული ცაცხვი ((Tilia Tomentosa) - 25 ძირი

პარამეტრები და რაოდენობა:

- მცენარის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში
- მთავარი ღეროს სწორი ფორმა
- ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) - არანაკლებ 0.18 მ;
- სიმაღლე, ფოთლოვანი - არანაკლებ 3.5 მ;
- სიმაღლე, წიწვოვანი - არანაკლებ 3 მ;
- ფესვის ყელიდან 1 მ სიმაღლეზე ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0.7 მ;
- ვარჯის განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან
- არანაკლებ 1.8 მ სიმაღლეზე;
- ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.
- არანაკლებ 65 ლიტრი (CTL) ქოთანში დაფესვიანებული.

დარგვის / გადარგვის პერიოდი: მცენარის არასავეგეტაციო პერიოდი

მოვლა-პატრონობის პერიოდი: პროექტის შესრულების დაწყებიდან (ხე-მცენარეთა დარგვიდან) 3 წელი.

3 (სამი) წლიან მოვლა-პატრონობაზე პასუხისმებელი პირი: შპს ვახუშტი ბაგრატიოს 1.
ID 405408107

ვალდებულება: 3 წლიან მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია კვარტალში ერთხელ წარადგინოს დარგული მწვანე ნარგავების ფოტომასალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გამწვანების საქალაქო სამსახურში.

არსებული ტოპოგეგმა



შპს "ფორესტ კომპანი" • "FOREST COMPANY" LLC • 200272196

საპროექტო გენგეგმა



შენიშვნა: ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი 66 ძირი ხე-მცენარე და დასარგავი 88 ძირი მწვანე ნარგავი სულ 154 ძირი მთლიანად ითვისებს გამწვანების კ3 კოეფიციენტს

დასარგავი ხე-მცენარის სახეობა 88 ძირი:

15 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი (ACER CAMPESTRE)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

10 ძირი გრძელფოთოლა იფანი (FRAXINUS ANGUSTIFOLIA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

26 ძირი იტალიური ფიჭვი (PINUS PINEA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

12 ძირი წითელი დეკორატიული ტყემალი (PRUNUS PISARDI NIGRA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

25 ძირი უნგრული ცაცხვი (TILIA TOMENTOSA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

"ფორესტ კომპანი" • "FOREST COMPANY" LLC • 200272196 • შპს

კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი



მინდვრის ნეკერჩხალი (Acer Camoreste)

სასიცოცხლო ფორმა - ფოთლოვანი ხე

დახასიათება: სწრაფად მზარდი, ყინვაგამძლე, გვალვაგამძლე, ქარისადმი მდგრადი, მზის და სინათლის მოყვარული, ზომიერად ჩრდილის ამტანი, ფოთოლმცვივანი. მცენარე ადვილად ეგუება ყველა ტიპის ნიადაგს, თუმცა უპირატესობას ანიჭებს ფხვიერ, ქვიშიან, თიხნარ და ზომიერად ტენიან, ნეიტრალურ, ტუტე ნიადაგს.







გრძელფოთოლა იფანი (Fraxninus Angustifolia)

სასიცოცხლო ფორმა - ფოთლოვანი ხე-მცენარე

დახასიათება: სწრფად მზარდი, გვალვაგამძლე, ყინვაგამძლე, ფოთოლმცვივანი, სინათლის მოყვარული და ნახევრად ჩრდილის მოყვარული. უყვარს ზომიერი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგი, აქვს რბილი მერქანი, მუქი რუხი და ნახეთქებიანი ქერქი.







იტალიური ფიჭვი (Pinus Pinea)

სასიცოცხლო ფორმა - წიწვოვანი ხე-მცენარე, მარადმწვანე



დახასიათება: სწრაფად მზარდი, გვალვა გამძლე, ყინვა გამძლე, სინათლის მოყვარული, ნიადაგის მიმართ პრეტენზიული არ არის, ეგუება მშრალ, მწირ და კლოვან ნიადაგს.







წითელი დეკორატიული ტყემალი (Prunus Pisardi Nigra)

სასიცოცხლო ფორმა- ფოთლოვანი ხე

დახასიათება: ყინვა გამძლე, გვალვა გამძლე, სინათლის, სითბოს და ტენის მოყვარული. ქარისადმი ზომიერად მდგრადი, გამძლეა დაავადებებისა და მავნებლების მიმართ. წითელი ტყემალი კულტივირებლი, გამოყვანილი ჰიბრიდული სახეობაა და მისი ნაყოფი საკვებად უვარგისია.









უნგრული ცაცხვი (Tilia Tomentosa)

სიცოცხლის ფორმა - ფოთლოვანი ხე-მცენარე

დახასიათება: ნელამზარდი, გვალვაგამძლე, ქარისადმი მდგრადი, სინათლის მოყვარული. ფოთოლმცვივანი, ზომიერად ჩრდილის მოყვარული, დიდტანოვანი, გაშლილვარჯიანი, მხვილფოთოლა. გამძლეა დაავადებებისა და მავნებლების მიმართ. მცენარე ნიადაგის მიმართ პრეტენზიული არ არის, თუმცა უპირატესობას ანიჭებს ტენიან და ნაყოფიერ კარგად დრენირებულ ნიადაგს, ასევე მარტივად ადაპტირებულია სხვა გარემო პირობებთან და ცაცხვის სხვა სახეობებს შორის გამოირჩევა საუკეთესო გამძლეობით.





ხე–მცენარის დარგვა, ნიადაგის მომზადება და შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ ეტაპზე დასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დასარგავი მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად;
2. გადასარგავ ადგილზე ამოღებული უნდა იქნას ორმო; დასარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
4. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
5. დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეც ტექნიკა;
6. ნერგის ქოთნიდან ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე;
7. ნერგის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
8. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
9. კომით დარგვისას ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
10. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 2 მხრიდან;
11. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.











აქსონომეტრიული ხედი



აქსონომეტრიული ხედი



აქსონომეტრიული ხედი



გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი
საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს ვახუშტი ბაგრატიონის 1. ID 405408107

საპროექტო ტერიტორია -
საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.097
მიწის ნაკვეთის ფართი: 11 421.0 მ²
მისამართი: ქალაქი თბილისი ქუჩა აგლაძე №1

ნებართვის გამცემი ორგანო:
ქ. თბილისი მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენტი - **კ-3=0.3=3445.0**

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:
დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: **2026 წ.**



დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა, რაოდენობა და პარამეტრები - **88 ძირი**:

15 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი (ACER CAMPESTRE)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

10 ძირი გრძელფოთოლა იფანი (FRAXINUS ANGUSTIFOLIA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

26 ძირი იტალიური ფიჭვი (PINUS PINEA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

12 ძირი წითელი დეკორატიული ტყემალი (PRUNUS PISARDI NIGRA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის

25 ძირი უნგრული ცაცხვი (TILIA TOMENTOSA)
სიმაღლე 3.0 მ. -დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი ხნოვანება 5-10 წლის



გაშენებულ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე
პასუხისმგებელი პირი: შპს ვახუშტი ბაგრატიონის 1. ID 405408107

გასაშენებელი ხე-მცენარის მოვლის პატრონობა: 3 (სამი) წელი